



თარიღი: 30 ივნისი 2022 | პრესრელიზი

## ჰუმანიტარული დახმარების შეუფერხებელი მიწოდების გაძლიერების ცალმხრივი დეკლარაციის ხელმოწერა - საქართველოს ეროვნული ლეგიონი

კიევი, 2022 წლის 30 ივნისს, საქართველოს ეროვნულმა ლეგიონმა ხელი მოაწერა ცალმხრივი დეკლარაციას, პირობას დებს რა, რომ გააძლიერებს ჰუმანიტარული დახმარების შეუფერხებელ მიწოდებას უკრაინაში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სამოქალაქო მოსახლეობისთვის.

მეთაურმა მამუკა მამულაშვილმა უკრაინაში ჟენევის ზარის წარმომადგენლებს წარუდგინა საქართველოს ეროვნული ლეგიონის არსებული და სამომავლო მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს წვდომას ჰუმანიტარულ და მიუკერძოვებელი ორგანიზაციებისათვის და შეუფერხებელი და პრინციპული ჰუმანიტარული დახმარების გაწევას შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სამოქალაქო პირებისადმი. საქართველოს ეროვნულმა ლეგიონმა პირობა დადო, რომ შეასრულებს წესებს, რომელიც გამომდინარეობს ჰუმანიტარული საერთაშორისო სამართლიდან და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონით, რომლის განხორციელებას მხარს დაუჭერს და ყურადღებით დააკვირდება ჟენევის ზარი უკრაინაში. მამულაშვილის თქმით, "ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ და მეზობელმა მხარეებმა უნდა გამართონ დიალოგი რათა უკეთ უპასუხონ ჰუმანიტარულ მოთხოვნებს. ჩვენ ახლა ვალდებული ვართ, გვქონდეს ეს დიალოგი და მივიღოთ პრევენციული ზომები ჰუმანიტარულ სექტორში მომუშავე პირების დასაცავად, სანამ ისინი ეხმარებიან მშვიდობიან მოქალაქეებს"

ამ ცალმხრივი დეკლარაციის ხელმოწერა კიდევ ერთი ნაბიჯია საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების გასაძლიერებლად, მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვის და უკრაინაში მოქმედი ჰუმანიტარული ორგანიზაციების მხარდასაჭერად. "უკრაინაში კონფლიქტში მონაწილე ყველა პირს რომელიც ატარებს იარაღს ჟენევის ზარი მოუწოდებს მიიღონ და აღასრულონ მსგავსი ზომები მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვის გასაძლიერებლად და დახმარების მიწოდების ხელშესაწყობად", - თქვა მარი ლეკინმა, ევრაზიის რეგიონის ხელმძღვანელმა

საქართველოს ეროვნული ლეგიონი შედგება ქართველი, უკრაინელი და უცხოელი მოხალისეებისგან, რომლებიც სრულიად უკრაინის ტერიტორიაზე ოპერირებს.

2022 წლის თებერვალში საომარი მოქმედებების ესკალაციის შემდეგ, გაეროს ჰუმანიტარული საქმეთა კოორდინაციის ოფისი (UNOCHA) იუწყება 10 000-ზე მეტ სამოქალაქო მსხვერპლს და აფასებს, რომ დაახლოებით 15.7 მილიონ ადამიანს სჭირდება უშუალო ჰუმანიტარული დახმარება, რომელთა შორის 3 მილიონი ბავშვია. ჰუმანიტარული წვდომა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა სამოქალაქო პირებს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ტერიტორიებზე, სადაც ბრძოლა უფრო

ინტენსიურად მიმდინარეობს და ხალხს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებები აქვს. გარდა ამისა, დაუცველობის შეგრძნებამ გამოიწვია მრავალი ჰუმანიტარული ორგანიზაციის გასვლა და ომის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე ნაღმების და ფეთქებადი ნარჩენების არსებობა ხელს უშლის ათასობით ადამიანს ჰუმანიტარული დახმარების მიღებაში. აქედან გამომდინარე, ჰუმანიტარულ და მიუკერძოებელ ორგანიზაციებზე უსაფრთხო და შეუფერხებელი წვდომის მინიჭებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ჟენევის ზარი არის ნეიტრალური, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ჰუმანიტარული ორგანიზაცია; მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაცია მდგრადი ჰუმანიტარული ჩართულობის სფეროში სხვადასხვა შეიარაღებულ აქტორებთან შეიარაღებული კონფლიქტის დროს ან სხვა ტიპის ძალადობის სიტუაციებში, რომელიც მიზნად ისახავს ხანგრძლივ ქცევით ცვლილებებს მშვიდობიანი მოქალაქეების ზოგადი დაცვის გასაუმჯობესებლად. უკრაინაში, 2017 წლიდან, ჟენევის ზარი აწარმოებს ჰუმანიტარულ ჩართულობას ყველა შეიარაღებულ აქტორთან, მიუხედავად მათი პოლიტიკური, რელიგიური თუ ეკონომიკური მოტივაციისა და ცდილობს შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარის ჩართულობას.

კონტაქტი: [communication@genevacall.org](mailto:communication@genevacall.org)